FS 2752

275'2/1

ᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ, № 2.

Გ. 8° 811.

ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲜᲘ

ᲡᲯᲝᲑᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡᲐ ᲜᲐᲫᲠᲐᲮᲡᲐ
ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ.
ᲠᲣᲡᲗᲕᲔᲚᲘ.

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐᲜᲘ

ᲘᲐᲙᲝᲑ ᲒᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲡᲢᲐᲤᲑᲐ ᲧᲘᲒ.ᲒᲐᲒ. ᲠᲔᲠᲗ.ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲢᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲢᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲢᲘᲠᲔᲑ

83.302.1-32

საყმაწვილო და სახალხო წიგნები, № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკის
წიგნთ-საცავი
ინვენტარიზაციის

თავდადებული ქართველი

K14.774
3

სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი.
რუსთველი.

ისტორიული მოთხრობანი

იაკობ გოგებაშვილისა

თ ბ ი ლ ი ს ი
ს ტ ა ბ ა ს ვ ი ბ. ბ ბ ბ. ბ ბ ო. ბ ბ ბ ა ნ ა ბ ა ბ ბ ი ს ბ ბ ტ ი ბ. ბ ბ ბ ა. ბ ბ ბ. ბ ბ ბ. ბ ბ ბ. ბ ბ ბ
1895

32A1(21X13).103

ეროვნული ბიბლიოთეკა

Д

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 ноября 1895 г.

FS 2752

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავდადებული მღვდელი

თევდორე.

1. მტრის შემოსევა საქართველოში.

ასამსის წლის ამბავს მოგითხრობთ.

1609 წელი მიდიოდა. ცხელი ზაფხული იდგა. მთელი ჩვენი საქართველო ცხარე მუშაობას მისცემოდა. შიში არსაიდგან იყო. არც სპარსეთის და არც ოსმალეთის იმ ყამად საქართველოსთან საბაო არა ჰქონდათ-რა. ამიტომ ქართველები მტრის შემოსევას არსაიდგან არ მოელოდნენ და გულ-დამშვიდებულნი ადგნენ თავისს შინაურს საქმეებსა.

უცებ ჯავახეთის და თრიალეთის მხრივ ქართველობაში საშინელი ჩოჩქოლი შეიქნა. მცხოვრებლებმა თავი ანებეს ყანებსა, ბაღებსა, ყველა სამუშაოსა და იწყეს ფაცა-ფუცით ურმების შებმა, ცხენების შეკაზმა და თავისი ქონების გამოზიდვა სახლებიდან. ყველანი ეშურებოდნენ დაბურულის ტყეებისაკენ დასამალავად.

რა იყო მიზეზი ამ დაწიოკებისა? სრულებით მოულოდნელი შემოსევა საქართველოში თათრის ჯარისა სამხრეთის მხრივ.

საიდგან გაჩნდა ეს ჯარი ასე მოულოდნელად?

იმ ყამად სპარსეთსა და ოსმალეთს ომი ჰქონდათ ერთმანეთთან ბაღდადის ქალაქის გამო. ორივე სახელმწიფოს უნდოდა დაეჭეშებინა ეს მდიდარი ქალაქი. ოსმალეთის მხარე დაიჭირა ყირიმის*) ხანმა და თავისი ჯარი გაუგზავნა შავი ზღვით მისაშველებლად. ოსმალეთის და ყირიმის ჯარებმა დაამარცხეს სპარსელები და წაართვეს სამუდამოდ ბაღდადი. ამ გამარჯვების შემდეგ ყირიმის ძლევა-მოსილმა ჯარმა სწრაფად გამოიოლაშქრა საქართველოსაკენა.

---

*) ყირიმი სძევს შავი-ზღვის ნაპირას ჩრდილოეთით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს ჩვენს ქვეყანაში მეფობდა ასალ-გაზდა მეფე ლუარსაბი. იმ ჟამად ის იყო საზაფხულოდ გასული სოფელს ცხირეთში, რომელიც იდო სოფლის ასალქალაქის თავსა. მთის ფერდობები, მშვენიერი გრილი ჰაერი, ციცი კამკამა წყაროები, აურილი ტყეები, კარგი სანადირონები ჩხდიდნენ ამ მაღლობ ადგილს საუცხოვო სამეფოფლად ზაფხულობით. უმაწვილი მეფე განცხრომით სტკბებოდა და ფიქრადაც არ მოუვიდოდა, თუ ხიფათი ასე ახლო იყო. ლუარსაბს თან ახლდნენ ზოგნი დიდებულნი და მათ შორის გიორგი საკაძე, პირველი კაკაცი მაშინდელის დროისა, სახელოვანი წინამძღოლი ჯარისა, შემდეგ წოდებული დიდ-მოურავად.

თათრის ჯარმა იცოდა საზაფხულო ბინა მეფისა და საოცარი სისწრაფეთ მიეშურებოდა მისკენ. მტერნი მოწადინებულნი იყვნენ უცებ დასხმოდნენ მეფეს თავსა და შეეპურათ იგი ტყვედ, მასუკან ადვილად დაეჭირათ სოფლები, ქალაქები და ბატონობა ეწყოთ საქართველოში.

თათრებმა გადმოლახეს თრიალეთი, უწიეს მანგლისსა და რაკდენისაკენ საათის შემდეგ უნდა თავს დასხმოდნენ მეფეს, რომელმაც სრულებით არათერი იცოდა მტრის მოახლოებისა და არც ჯარი ჰყავდა თავისთანა. თათრებს შეეძლოთ ადვილად სწოდნენ გულის წადილსა, რადგანაც ცხირეთსა და მანგლისს შუა მხოლოდ ერთი მთა იდო და სულ ოთხის, ხუთის საათის საკლელი იქნებოდა.

2. თავდადება თეგდორე მღვდლისა.

ანგლისიდან ასალქალაქისაკენ რაკდენიმე გზა მიდიოდა, მაგრამ ძლიერ ტუდი, ვიწრო, აღმართ-დაღმართი, ორრო-ჩორრო. თათრებმა არ იცოდნენ, რომელი უფრო მოკლე და კარგისი გზა იყო და ყოყმანი შეექნათ. ამ დროს მანგლისის ახლოს ერთს პატარა სოფელში, რომელსაც სახელად ჯველთა ერქვა, მათ შეიპყრეს ერთი ქართველი მღვდელი, სახელად თეგდორე, რომელიც ამ დროს ეკეკლესიას ჩგეტავდა. სხვებთან ერთად მას ტყეში გაქცევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ მოესწრო, უთუოდ იმიტომ, რომ უნდოდა ეკლესიის განძეულობა კარგად მიემალნა და მტრის ხელიდგან გადაერჩინა.

თეკდორე მღვდელს შეუტიეს თათრებმა და უბრძანეს: შენ უნდა წინ წაგვიძღვე, სულ მოკლე გზით გვატარო და, რაც შეიძლება, ჩქარა მიგვიყვანო მეფის ბინასთანაო. თუ ამას შეგვისრულებ, დიდს სარჩუქარს მიიღებ; ხოლო თუ უარზედ დადგები, გტანჯავთ, გაწვალებთ, საშინელს სიკვდილს მიგცემთ და შენს სხეულს ყვავსა და ყორანს შევაჭმევთო.

მღვდელი სწორედ ჯოჯოხეთის ტეტხლში ჩავარდა. თუ თათრებს ნებას დაჭყვებოდა, მეფეს დაატყვევებდნენ, საქართველოს აოხრებდნენ, სისხლით და ცრემლით ავსებდნენ. ქვეყნის უბედურებას გაორკეცებდა ის გარემობა, რომ მეფე ჯერედ სულ უმაწვილი იყო, მეუღლე არა ჰყავდა და მემკვიდრე არ დარჩებოდა. ამის გამო ურჯულონი უფრო მაგრა მოიკიდებდნენ ფეხს საქართველოში და მონობის უღელს დაადგამდნენ ჩვენს ერსა. თუ თეკდორე უარს ეტყოდა, სამშობლოს ვერ გამოიმეტებდა, მას მოელოდა გამოუთქმელი ტანჯვა, წამებით სიკვდილი, ყვავ-ყორანისაგან შეჭმა და დობლება ცოლშვილისა. მესამე გზა ყოვლად შეუძლებელი იყო. ან თავი უნდა შეეწირნა ქვეყნისათვის, ან სამშობლო ენაცვალებინა თავისი თავისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველს წამებში მღვდელი ყოყმანობამ შეიპყრო და ვერ გადაეკვრა, რომელს გზას დასდგომოდა. ამ ყოყმანობის დროს მას სატოდავი, შესაბრალისი სახე ჰქონდა. მაგრამ უცებ იგი წელში გასწორდა, სახე გაუნათლდა, მამაცური გამომეტყველებით აევსო. აშკარად ეტყობოდა, რომ გმირულს გარდაწყვეტილებას დაადგა.

თათრებს უთხრა თვალდარეულ: კარგი, მომყვეთ და სულ მოკლე გზით გატარებთ მეფემდისაო. თათრებს დიდი სიხარული შეუდგათ და ფიქრობდნენ, რაკი ენიმე საათის შემდეგ საქართველოს მეფე ხელში გვეყოლება ტყვედაო. მიდის წინ მღვდელი, მისდევენ მას უკან თათრები. ესენი ხედავენ, რომ სულ დასავლეთისაკენ მიჰყავს მღვდელსა, ცხირეთი-კი მანგლისიდან ჩრდილოეთით სძევს. ეჭვი ეპარებათ, მაგრამ თან ფიქრობენ: აი სატყა გზა ჩრდილოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თისაკენ გაუხვევსო. ხოლო თევდორე მღვდელი სულ იქით და იქით მიდის და, რაც შეუძლიან, სწრაფად. ირეს ასე კარგა ხანს. ბოლოს თათრები მიხვდნენ, რომ თევდორე მღვდელმა ისინი მოატყუა, გზას აცდინა და ცხირეთს დაუშორა. მაშინ ისინი საშინელი სიბრაზით აივსნენ, გაშმაგებულნი მისცვივდნენ საწყალს თევდორესა და დაუწყეს წამება. აწვალეს, სტანჯეს, ბოლოს მოჭკლეს, დაჩეხეს და გადაგდეს ერთს დიდს ხრამში. თევდორე მღვდელი ამ საშინელის ტანჯვის დროს მხურვალე გულით ევედრებოდა უფალსა, რათა მას მოწყალე თვალით გადმოეხედნა საქართველოსათვის, მისი სახლობისათვის და ეხსნა იგინი მტერთა ხელისაგან. ლოცვა და იმედი არ გაუცრუვდა, თავდადებამ მისმა ჯეროვანი ნაყოფი გამოიღო.

3. ბრძოლა ქართველებისა და თათრებისა.

ევდორე მღვდელმა ისე დაუშორა თათრები ცხირეთსა, რომ მათ იმ დღეს ველარ გაიგნეს გზა და ვერ მოასწრეს მთაზედ გადასვლა. ამითი ისარგებლეს ზოგიერთ გამბედავმა ქართველებმა, მოკლე ბილიკებით მოჭეურცხლეს ცხირეთისაკენ და ატნობეს მეფეს ველაფერი. გიორგი საკაძე, ზოგორც წინამძღოლი ჯარისა, იმავ წამს თავდარიგს შეუდგა. ათრინა ცხენოსანნი სოფლებსა და დაბებში და დაუძახა ჯარსა. მეორე დილა ჯერედ კარგად არ გათენებულიყო, რომ ახლო-მახლო სოფლებიდამ მეფის გარშემო დაიბადა გამოწყობილი ჯარი. მაშინდელს დროში ყოველს ასაკოვანს ქართველს თოფ-იარაღი ჰქონდა, ომის საქმე კარგად იცოდა და დაძახების შემდეგ ფიცხლავ გამოცხადდებოდა ხოლმე საომრად დანიშნულს ადგილსა.

მეორე დილას თათრის ჯარი მაღლა მთებიდამ ახალქალაქისაკენ მუქარით და მრისხანებით დაეშვა. მაგრამ ახლა იგი ისე საშიში აღარ იყო. ქართველების ჯარი მხნედ დაუხვდა, თუმცა ჯერ ძლიერ მცირე იყო რიცხვით, მაშინ როდესაც მტერთა რიცხვი ოცდა ათს ათასს აღემატებოდა. გაჩნდა ბრძოლა. თავდაპირველად ქართველებს ომი მეტად უჭირდათ იმის გამო, რომ ერთს ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალზედ ოცობით მოდიოდნენ თათრები, მაგრამ ჩვენებს წინ უძღოდათ საოცარი მეომარი საკაძე და ამასთან თან-და-თან ღონეც მიიცეს, რადგანაც აქეთ-იქით სოფლებიდან გუნდ-გუნდად მოდიოდნენ შეიარაღებულნი ქართველნი.

თათრებმა ბირი დასავლეთისაკენ ჰქმნეს, უნდოდათ სწრაფად მისდგომოდნენ გორასა, გასულიყვნენ ხიდზედ, რომელიც იდო მტკვარზედ ხიდისთავსა და გორს შუა, აღოთ გორი და აეკლოთ, დაეჭირათ ამ ქალაქის ციხე, ჩაეყენებინათ შიგ თავისი ჯარი და შემდეგ შესდგომოდნენ მთელის საქართველოს დაპყრობასა. გიორგი საკაძე ძლიერ ცდილობდა—როგორმე დაეწინაურებინა ერთი გუნდი ქართველი ჯარი, რომ მას წინ ეყოლა თათრებისათვის და გორის ხიდი ჩაეშალა; მაგრამ მტერი აბა ამის ნებას რად მისცემდა? გარნა აქაც ხელი შეუშალა თათრებს მეორე სასულიერო პირმა.

4. გორი გადურჩება თათრებსა.

თათრების ჯარის შემოსევაზედ გორში სრულიად არაფერი იცოდნენ, ისე მოულოდნელი იყო ყველასთვის ეს შემოსევა.

ამიტომ გორიდან არხეინად მოდიოდა ცხენით სომხის მღვდელი საკაშვილი სოფელს დოესში, სადაც ქართველებთან სომხებიც სცხოვრობდნენ და მიწერილნი იყვნენ გორის მრევლზედ. როცა საკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი ავიდა ზედაველის მაღლობს მინდორზედ, საშინელი სანახავი გადაეშალა თვალ-წინ: თითქმის მთელი ველებერთელა ვაკე მთებსა და მტკვარს შუა მჭიდროდ იყო დაჭერილი თათრის ჯარითა. ელდა-ნაცემმა მღვდელმა თვიცხლაკ ცხენი უკან გამოაბრუნა, ჩქარა დეზი და გაჭენა უკან გორისკენ. მიიჭრა ხიდთან, სწრაფად გადმოხტა ცხენიდან და დაიძახა: «არიქა, მიშველეთ, ხიდი ჩაგშალოთ, აგერ მტრის ჯარი მოდისო», და თანაც ხელი მიჰყო ხიდის ჩათუშვასა. ბედად, იქვე შეესწრნენ ხიდისთაველი გლეხები. ესენიც მისცვივდნენ ხიდსა და დაუწყეს საჩქაროდ ჩაშლა. როცა პატარანანს უკან თათრები ხიდს მიუახლოვდნენ, ხიდი ჩათუშული დახვდათ და



ძლიერ ცუდს მდგომარეობაში ჩავიდნენ. უხიდოდ გორში გასვლა შეუძლებელი იყო, რადგანაც მტკვარი ადიდებული მოდიოდა; იქითა ნაპირას საჩქაროდ გროვდებოდა ქართველი გორელი ჯარი, რომელიც ნებას არ მისცემდა თათრებს ახალი ხიდი გაეკეთებინათ და ისე გასულიყვნენ. უკან ტფილისისაკენაც ვერ დაბრუნდებოდნენ, რადგანაც ზურგთ უკან მათ ედგათ გიორგი საკაძე თავისი ჯარითა და საქმეს უჭირებდა. რა უნდა ექმნათ? მეტი ღონე არ იყო, საქართველოს დაპყრობაზედ ხელი უნდა აეღოთ და თავი როგორ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე დაესწრებით. გადასწყვიტეს, ეკლოთ დასავლეთისაკენ, ზემო-ქართლის სოფლები დაერბიათ, დაკლა ბევრი ეშოვნათ და შემდეგ ბორჯომის ხეობით, რომელზედაც მიდიოდა ახალციხის გზა, სათათრეთში დაბრუნებულიყვნენ. მაგრამ ისინი საკაძეს და ქართველებს არ იცნობდნენ ჯერ კარგად.

5. თათრის ჯარის ამოყლეტა.

ინ მიდიოდა თათრის ჯარი, უკანიდან მოსდევდა ფეს-და-ფეს ქართველი ჯარი და ყლეტდა, რაც კი შეეძლო. თათრები ქარელს ასლო მტკვარში გავიდნენ, მოექცნენ იქითა, მარცხენა, ნაპირსა და შეესივნენ ზემო-ქართლის სოფლებს დასარბევად. საკაძემ ამითი მარჯვედ ისარგებლა. მან მტრის დევნას თავი დაანება, თავისი ჯარი სწრაფად, დაუსვენებლივ ატარა მტკვრის მარჯვენა ნაპირსა და, როცა ასცდა ტაშის კარსა, საიდანაც იწყება ბორჯომის ხეობა, ერთბაშად ტურვით გავიდა მთელი თავისი ჯარით მტკვარში, უყელა წინ თათრებსა და გადაეღობა გზაზედ. აი თათრის ჯარი, დაკლით დატვირთული, ბორჯომის ხეობაში შევიდა, მაგრამ კაი იმ შესვლასა. სწორედ იმ დროს ზემო-ქართლის ერისთავები თავისი ჯარებით მტერს უკანიდან მიადგნენ. თათრები ისე მოემწყვდნენ, როგორც ჩიტი გალიაში. წინუკანიდან ქართველი ჯარი ედგათ, დასავლეთით იყვნენ აყუდებულნი მაღალნი გაუკალნი მთები, აღმოსავლეთით მოჭქუსდა ადიდებული მტკვარი. დაიწყო ბრძოლა. თათრები სასოწარკვეთილებით იბრძოდნენ, დიდი სიმამაცე გამოიჩინეს, მაგრამ ვერას გახდნენ. ბრძოლა გაგრძელდა მთელს სამს დღესა. საკაძე იბრძოდა, როგორც ლომი, და დიდი ოსტატობით წინუძღოდა ჯარსა. თათრები ერთი-ოთხად მეტნი იყვნენ ქართველებზედ; მაგრამ მაინც საშინლად დამარცხდნენ. იმოდენა ჯარი მტრისა თითქმის მთლად ამოიყლიტა, მცირე ნაწილი ტყვედ ჩაუვარდათ ხელში ქართველებსა. ზოგნი ტყეში შეიმალნენ. მაგრამ ესენიც ისე იყვნენ შეშინებულნი და თავ-ზარ დაცემულნი, რომ ბრძოლის გათავების შემდეგ მეორე-მესამე დღეს ბავშვები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალები იწერდნენ ტუეებში და გამოჭუკვდათ. იმოდენა ჯარიდან გადარჩა მხოლოდ თორმეტი კაცი და თავს უშველა, რათა სამშობლოში მიეტანა საზარელი ამბავი.

ასეთი უდიდესი სიკეთე შესძღვნა სამშობლოს თეკდორე მღვდელმა თავისი დიდებული ღვაწლით, თავდადებით. ამ სახელოვანს მამულის შვილს რომ თავი არ გამოემეტნა, მეფეც დატუვებული შეიქმნებოდა, ქვეყანაც აოხრებული; ბევრი დედა, ბევრი მეუღლე, ბევრი და და ძმა ატირდებოდა საქართველოში. თვითონ ეს მღვდელი თავისი ცოლ-შვილით საუკუნოდ წუეულ და შეჩვენებული შეიქმნებოდა ყველასაგან და ისეთ სირცხვილში ჩავარდებოდა, რომ სიკვდილი ბევრად სჯობია იმისთანა სიცოცხლესა.

ახლა? ახლა კი მეფე გამარჯვებული შეიქმნა, ქვეყანა გამოხსნილი, მტერი შემუსვრილი და მთელს საქართველოში სიხარული დატრიალდა. დაობლებულს ცოლ-შვილს თავდადებულისას მეფე და ქვეყანა პატრონად და მფარველად აღმოუჩნდნენ და თვითონ თეკდორე მღვდელმა მოიპოვა იმისთანა სახელი, რომელიც ქებით, დიდებით და კურთხეით იხსენება ყველა ქართველისაგან, კიდრე დედა-მიწის ზურგზედ ჩვენი ერი იცოცხლებს.

დიაღ, თეკდორე მღვდელმა თავისს თავზედ აიცხადა დიდებული რუსთველის ლექსი: «სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი».

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. თავდადებული აზნაური— ილია ზედგინიძე

1. ერთობის ძალა.

ძველს დროში მთელი საქართველო, შავი-ზღვიდან დაწყებუ-ბული ლეკეთის სამზღვრამდე, ერთს შეკონილს სახელმწიფოს შე-ადგენდა. კახელნი, ქართლელნი, იმერელნი, გურულნი, რაჭველნი, მესხნი, მეგრელნი, სვანნი და თვით ოფსაზნიც შეერთებული იყვნენ ერთის დროშის ქვეშა, ემორჩილებოდნენ ერთს მბრძანებელსა, ერთს მეფესა, ძმურად, თანხმობით და სიყვარულით ეპყრობოდნენ ერთმა-ნეთსა და ერთნი იყვნენ ჭირშიაც და ლხინშიაცა. ამ ერთობის გა-მო საქართველო ძლიერი სახელმწიფო იყო, მტრებზედ ბრწყინვა-ლედ იმარჯვებდა, სახელი მისი ჰქუხდა გარშემო უცხო ქვეყნებში და შინაც ჰყვაოდა, კეთილ-დღეობით სტკბებოდა. მაშინდელი სა-ქართველო სწორედ მოგვაგონებდა იმ მაგრად შეკრულს კონას ის-რებისას, რომელსაც ერთმა ძლიერმა მეფემ ვერაფერი დააკლო, კი-დრე არ გახსნა კონა და ისრები არ გაატალკვა. ამისთანა სანა-ტრელს მდგომარეობაში იყო ჩვენი ქვეყანა მეტადრე ვახტანგ გორგ-ასლანის, დავით აღმაშენებელის და დიდებულის თამარის დროსა.

მტრებს სწადდათ საქართველო შეესუსტებინათ, დაემხოთ, დაენაწილებინათ და გაეყოთ. მტრებმა კარგად იცოდნენ, რომ კი-დრე უველა ქართველებში ერთობა სუფევდა, იგინი თავისს გულის წადილს ვერ მოეწყოდნენ. ამიტომ იწყეს გაიძვერობით მოქმედება, გაბეს ხრიკები და სულ იმასა ცდილობდნენ, რომ ძმები ერთმანეთს დაეშორებინათ, მათ შუა ჩამოეგდოთ შური, განხეთქილება და ში-ნაური ბრძოლა აეტეხნათ საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. განცალკევება შობს უძლურებასა.

ეტრებს ხელი შეუწყო თავ-მოყვარეობამ იმ დიდკაცებისამ, რომელთაც სწყურდათ მეფობა ან მთავრობა ხელში ეგდოთ საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეში, აგრეთვე დაეხმარა მათ ბოროტ განზრახვას წინ-დაუხედველობა სხვა ქართველებისა. ჩქარა ცალ-ცალკე გაიწია: კახეთმა, ქართლმა, იმერეთმა, მესხეთმა ანუ სამცხემ, გურიამ, რაჭამ, სამეგრელომ, სვანეთმა, ათაბაგეთმა. თვითეულმა ნაწილმა დაისვა საკუთარი მეფე, ან მთავარი. ძმობა ქართველთა შორის მოისპო, ერთობა გაქრა, მაგრად შეკრული და გაუტეხელი კონა ერთვნობისა დაიშალა და ადვილად სალეწი გახდა. ამითაც არ გათავდა უბედურება. ძმებმა, რომელნიც დაჩვეულნი იყვნენ საერთო ბრძოლას მტერთან, ახლა ერთმანეთს დაუწყეს ომი. გახშირდა შინაური შფოთი, ძმებისაგან ძმების სისხლის ღვრა. კახეთის მეფე ებრძოდა ქართლისას, ქართლისა — იმერეთისას, იმერეთის მეფეს ხშირად ჰქონდა ომი სამეგრელოს ან გურიის მთავართანა, და სხვანი. დაუძლურდა ჩვენი ქვეყანა, მაღალი ღობე გარდიქცა დაბალ ღობედ. მტრებმა იბრიყვეს ჩვენი ქვეყანა, თელვა დაუწყეს. სახელი წინად ქებული, გატეხდა, გათახსირდა.

გულ-მხურვალე მამულიშვილებს გული უკვდებოდათ, როდესაც ამისთანა სავალალო ყოფაში ხედავდნენ საქართველოს. ისინი სულ იმის თქმაში იყვნენ, თუ როგორ მოესპოთ გაცალკევება ქართველებისა და როგორ შეეერთებინათ უწინდებურად ერთი მეფის ბრძანებლობის ქვეშ მთელი ჩვენი ქვეყანა, გაეძლიერებინათ, ისევ მაღალ ღობედ გაეხადნათ.

3. ალნაური იოთამ ზედგინიძე.

ერთი ამისთანა მამულიშვილი ცხოვრებდა მეთხუთმეტე საუკუნის ნახევარში, სახელდობრ იოთამ ზედგინიძე. საქართველო სულ ახალი დანაწილებული იყო. ქართლ-კახეთის მეფედ მაშინ იჯდა გიორგი მერვე. ეს მოწადინებული იყო პირველად დაემორჩილებინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესხეთი ანუ სამცხე, რომლის მთავარი ყვარყვარე ათაბაგი განზედ გაუდგა, მერმე დაეპყრო იმერეთის სამეფო, სადაც მბრძანებლობდა ბაგრატი და ბოლოს სხვა ნაწილებიც საქართველოსი შემოეერთებინა. ოთარ ზედგინიძე აღტაცებაში მოჰყავდა გიორგი მეფის განძრასვას. იმის ოცნებაში მთელი საქართველო იხატებოდა უგვე შეერთებულს საბრძანებლად, მის ერთად-ერთ მეფედ — გიორგი, რომელიც შემუსვრიდა ყველა მტერს საქართველოსას, გაამაღლებდა მას და დაამყარებდა მტკიცე ერთობას, სანატრელს ძმობას იმერთა და ამერთა შორის. ამიტომ ოთარი იყო უერთგულესი ქვეშევრდომი გიორგისა, მისი სრული მორჩილი, სასტიკი აღმასრულებელი ყოველი მისი ბრძანებისა. ამასთან ოთარს გიორგი მეფე ძლიერ მოსწონდა, როგორც ადამიანი და ჰგრძნობდა მისდამი მსურვალე მეგობრულს სიყვარულსა. თავისი მეფე-მეგობრისათვის ოთარი არ დაიშურებდა არც გულსა და არც სულსა და იყო დაუძინებელი მცველი მისი სიცოცხლისა.

გიორგი მეფე თავისი ჯარით იდგა ახლანდელს ჯავახეთში, ფარვნის ტბის აქეთა მხარეს, იქითა მხარეს დაბანაკებული იყო ყვარყვარე ათაბაგი. ორი უნდა მომზადარიყო ძმათა შორის დღესასწაულ.

4. საზარელი შეთქმულობა.

ეორგი მეფის მტრებს ორმისა ეშინოდათ და რომ დამარცხება თავიდან აეშორებინათ, საშინელს ღონისძიებას მიმართეს. მათ არ ითაკილეს საზიზღარი შეთქმულობა და განიზრახეს ღამით ჩუმად მიეგზავნათ მოსყიდულნი მკვლელნი, მოესპოთ გიორგის სიცოცხლე და ამოეყოლიტათ მისი მსლებელნიც. ოთარ ზედგინიძემ, რომელიც სულ იმის ზრუნვაში იყო, მეფეს ხიფათი არა შეემთხვესრა, ეს შეთქმულობა შეიტყო, ძლიერ შეშფოთდა და მაშინვე მოასსენა მეფეს დაწვრილებით. მეფე თვითონ იყო კეთილის გულის პატრონი, სულ-გრძელი, სხვებიც თავისავით სულგრძელი ეგონა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამიტომ არ დაიჯერა საზიზღარი ღალატი. «მეფემან არ ირწმუნა», ამბობს თავისს ისტორიაში ვახუშტი, «ვინაიდგან უგონებელი (დაუჯერებელი) იყო მათგან ღალატი მეფისა". მეფეს იმდენად შეუძლებლად მიაჩნდა ეს ღალატი, რომ არავითარი სიფრთხილის ხმარებას არ აპირობდა. ბევრი ეცადა იოთამი დაერწმუნებინა მეფე თავის მოხსენების სიმართლეში, მაგრამ ამაოდ. მეფემ ეჭვიც კი არ შეუშვა თავის გონებაში. იოთამი ხედავდა, რომ მეფეს სიკვდილი არ ასცდებოდა, საქართველოს შეერთება ჩაიფუშებოდა და თვითონ მას პირადად მოაკლდებოდა მზრუნველი მამა და მეგობარი. ამის გამო საშინელს მწუხარებას ჭვრეტნობდა. შემდეგ იოთამმა სთქვა: მეტი ღონე არ არის, თავი უნდა გავწიოთ მეფისათვის და ჩემი სიკვდილით დავიცვა მისი ძვირფასი სიცოცხლე. მოახსენა იოთამ მეფესა: «უკეთუ ვსცდები და არა ჭეშმარიტ არის სიტყვა ჩემი, აწ გეკვდრები, რათა არა მოიკლა თავი ცუდად, არამედ ღამესა ამას მე დავწვები საგებელსა (ლოგინში) შინა შენსა და უკეთუ მომკლან მე მგონებელთა შენთა მეფედ, ნუ დაივიწყებ ძეთა ჩემთა».

მეფე დასთანხმდა, რადგანაც სრულიად დარწმუნებული იყო, რომ არავითარი შეთქმულობა მის წინააღმდეგ არ არსებობდა და იოთამი შეეპყრა ტყვილს ეჭვიანობასა. შეკიდა საღამოთი იოთამი მეფის საწოლში და დაწვა მისს ქვეშაგებში. მეფემ კი იმ ღამეს სხვაგან დაიძინა, დაიძინა ტკბილი და მშვიდობიანი ძილით, რადგანაც ჭვრეტნობდა, რომ იოთამს იმ ღამეს არაფერი დაუშავებოდა და მეორე დღეს მიუღოცავდა დილას მშვიდობისას.

5. საზეიმოვანი სიკვდილი ზედგინიძისა.

ევს იოთამი მეფის ქვეშაგებში, ელის მკვლელებსა და თან ავედრებს ღმერთს საქართველოსა, მეფესა, თავის შვილებსა და თავის თავსა. შუაღამე გადავიდა, მაგრამ მკვლელები ჯერ არსად სჩანან, იგვიანებენ. იოთამს ეჭვი შეეპარა, იქნება მართლა ტყვილი გამოდგეს შეთქმულობა. კიდევ კარგა სანი გავიდა, ასე რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაყრაყა. შორი-ახლო დაუენებულ მტვერებს ძილი მოერიათ და თავი ვერარ შეიმაგრეს, რადგანაც შეთქმულობა ტუეილი ეგონათ. ეველა მტვერებს ღრმად ჩაეძინათ. წასთვლიმა იოთამსაცა. სწორედ ამ დროს ბინდ-ბუნდში გამოჩნდნენ რამდენიმე ჩრდილნი, რომელნიც თეს-აკრეფვით, ერთი-მეორის უკან, მიიპარებოდნენ მეფის საწოლისაკენ. აი, მიუახლოვდნენ მას და შეჩერდნენ. სული განაბეს, გაფაციცებით დაათვალიერეს თავის გარშემო ადგილები და სმენად გარდიქცნენ. არსაიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. ეველა სულდგმული დილის ღრმა ძილს მისტემოდა. დაიძრნენ ისევ ჩუმად და მივიდნენ მეფის საწოლის ოთახის კარებთან ისეთის სიფრთხილით, რომ

ბურანში მყოფმა იოთამმა ვერაფერი შეიტყო. უცებ შეაღეს კარები, ერთის თვალის დახამხამებაში შეცვივდნენ ოთახში და დაუშინეს ხანჯლები ლოგინში მწოლარესა, რომელიც გიორგი მეფე ეგონათ. მაგრამ მალე ხმაზე იცნეს იოთამი, თავისი შეცდომა გაიგეს, ხან-

ჯლების ტემა შესწყვიტეს, გამოტვივდნენ გარედ და [illegible] ბნელში...

მეორე დღეს სისხამ დილაზედ მეფე გაეშურა [illegible]. ეგონა, ან ტკბილს დილის ძილში იქნება, ან ასლად [illegible] ლი დამისვდებაო. აი, მეფემ შეაღო კარები და თვალთ დაუბნელდა, ისეთი საზარელი სანახავი დასვდა. საწყალი იოთამი, ბეგრგან სანჯლით დაჭრილი, საკუთარს სისხლში სტურავდა: ჯერ კიდევ სული ედგა, მაგრამ სიკვდილამდე პატარა მანძილი-ღა დარჩენოდა.

თავზარ-დაცემული მეფე საშინელს სინანულში ჩავარდა, თავის თავს აბრალებდა ერთგულის ყმის და მეგობრის სიკვდილსა, თვალებიდან ნაკადული ცრემლი წასკდა და მსურვალედ მოესვია მომაკვდავს იოთამს. მეფის ასეთმა მოპყრობამ იოთამი ცოტას ხნობით მოასულიერა და დაუტოვა უკანასკნელნი წამნი სიცოცხლისა. მომაკვდავს

FS 2752

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეჰფიცა მეფემ: შენს მკვლელებს სელი ვიგდებ და სამაგალითოდ დავსჯიო და შენს შვილებსაც გავაბედნიერებო. თავდადებულმა შვილმა საქართველოსამ თავისი საუკარელის მეფის სელში დალია სული, რომელიც მან განსწირა სამშობლოსა და მეფის ბედნიერებისათვის.

გიორგი მეფემ იოთამს სავსებით აღუსრულა თავისი დაპირება, აღთქმა. მკვლელნი მისნი შეიპყრო იმავე დღესა და თავები დაუკვეთინა. იმის გათავების შემდეგ უფროსს შვილს იოთამისას თავადობა დუმკვიდრა, უბოძა რამდენიმე დიდი თანამდებობა და დიდძალი მამული აჩუქა. «მაშინ მოიყვანა ძე იოთამისა, მიუბოძა მას ციხენი და მამულნი და სპასპეტობა (კარის უფროსობა) ქართლისა, მოურავობა გორისა და სასაფლაოდ სამთავისი და კარისა თავისასა ამილახვრობა (მეჯინიბეთა უფროსობა), მსახურებისათვის მამისა მისისა, ვითარცა აჩენენ გუჯარნი მისნი», ამბობს ქართლის ცხოვრება *).

ახლანდელნი თავადნი ამილახვარნი არიან პირდაპირნი ჩამომავალნი ამ სასელოვანის მამულიშვილის აზნაურის იოთამ ზედგინიძისა.

*) „ქართლის ცხოვრება“ არის წიგნი, რომელშიაც აწერილია თანამედროვე ქართველთაგან წარსული თავგარდასავალი საქართველოსი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3. თავდადებული თავადი— ცოცხნე დადიანი

1. მონგოლნი საქართველოში.

ორასის წლის წინად იოთამ ზედგინიძისა, მეცამეტე საუკუნის ნახევარში, თავი ისახელა თავდადებულობით საქართველოსთვის ერთმა დიდებულმა ქართველმა თავადმა, სახელად ცოტნე დადიანმა. აი როგორ მოხდა ეს ამბავი.

თამარ-მეფის სიკვდილის შემდეგ არ გასულიყო ჯერ თორმეტი წელიწადი, რომ ჩვენს ქვეყანას შემოესია უმრავლესი და უმძლავრესი მტერი—მონგოლები, რომელნიც იყვნენ თათრის სარწმუნოებისა. ამ გელურმა სალხმა, ომში ძლიერ გამოცდილმა და მამაცმა, დაიპყრო მთელი აზია, მთელს რუსეთს დაადგა უღელი მონობისა და თვით ევროპასაც თავ-ზარი დასცა. მონგოლებმა მოინდომეს საქართველოს დაპყრობაცა. მათ მოსთხოვეს ქართველებს, ნება-ყოფლობით დაგვმორჩილდითო, მაგრამ ცივი უარი მიიღეს. მაშინ მათი ლაშქარი შემოესია ჩვენს ქვეყანას, და დაიწყო სანგრძლივი ბრძოლა ქართველთა და მონგოლთა შორის. ქართველებმა დიდი კაჟ-კაცობა უჩვენეს მტერსა, სამშობლოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას თავ-განწირულნი იცავდნენ, მედგრად ებრძოდნენ მონგოლთა, საქმეს უწირებდნენ, ყლეტდნენ; მაგრამ მტრის სიმრავლის გამო ბოლოს მაინც ძლეულნი შეიქმნენ. გამარჯვებულმა მონგოლებმა იწყეს მბრძანებლობა საქართველოში და სწრაფად შესტკვლეს მისი მდგომარეობა. მდიდარი ქვეყანა სწრაფად გაალარიბეს, თავისუფალს ერს ყმობის უღელი დაადგეს, რიგზედ გაწყობილი სასელმწიფო აწყო-დაწეწეს, გუშინ ბედნიერი სალხი დღეს გააუბედურეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტერს მაინც ეშინოდა ქართველების შეერთებულის ძალისა და ყოველს ღონისძიებას ხმარობდა ერთობა ქართველთა შორის ჩაეშალა. რადგან საერთო მეფე იყო დედაბოძი ამ ერთობისა, ამიტომ მონგოლებმა მოიწადინეს — მეფის სახელი გაეთახსირებინათ, მისი უფლება შეელახათ, დაემცირებინათ, ერთ-მეფობა მოესპოთ და ორ-მეფობა შემოეღოთ, იმერნი და ამერნი გაეცალკევებინათ ერთმანეთისაგან და ამით ჩვენი ქვეყანა სამუდამოდ დაეუძლურებინათ და დაემონავებინათ. ასეც მოიქცნენ, წადილი თავისი სისრულეში მოიყვანეს საკუსებით. იმერთ დაუსვეს ცალკე მეფე და ამერთ სხვა მეფე მისცეს. თანაც ცდილობდნენ ვერაგობით მტრობა ჩამოეგდოთ ამ ორ მეფეთა შორის და იმერნი და ამერნი ქართველნი ერთმანეთთან შეეჯახებინათ. მათ ხელს უწყობდნენ ქვეყნის დამსობაში ზოგნი ქართველნი, სულ-მდაბალნი და მოსყიდულნი. როცა ასე გაცალკევეს ღვიძლი ძმები და დაუძლურეს, მაშინ ორ-მეფობაც ადარ იკმარეს და მეფობა სრულიად გაუქმეს, რათა თვითონ ყოველიფვნენ ბიწდაბირი მბრძანებელნი ქართველებისა.

2. კრება მამულიშვილთა.

ქართველნი მამულიშვილნი ძლიერა სწუხდნენ, როცა სედავდნენ ქვეყნის განცალკევებას, უმეფობას, სისუსტეს ერისასა და სულ იმის თვიქრში იყვნენ, რა ღონე ეღონათ, რა წამალი ესმარათ. ბოლოს, საქართველოს ყველა კუთხის მთავრებმა მოიხმეს ერთმანეთი და მოახდინეს კრება შუაგულს ადგილასა, ახალციხის მახლობლად. იქიდგან მოვიდნენ დასავლეთის წარჩინებულნი ქართველნი: იმერლები, გურულები, მეგრელები, რაჭველები, ოფსაზები, აქედგან მივიდნენ ქართლელნი, კახელნი, ჭერეთელნი ანუ ქიზიყელნი, სამხრეთიდან მოვიდნენ მესხნი და ტაოელნი. შესდგა დიდებული კრებული საქართველოს რჩეულთა შვილთა. იკრიბებოდნენ ერთად და ქვეყნის შველაზედ თვიქრობდნენ და სჯიდნენ. ყველანი ეტყოდნენ: «რაძე უნდა ვქნათ, რადგან ადარა გვყავს ნათესავი მეფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა, რათა წინააღმდეგარ გვექმნას და ვებრძოლოთ თათართა. ჩვენ ერთი ერთმანეთისაგან განვდგომილვართ და ვერ ძალგვიძს წინააღმდეგობა თათართა. იგინი ბევრს გაწირვებას გვაუნებენ კარზედ, გვიბარე-

ბენ ულაკელ წლიგ თავისს სადგურში შორს სომხითის მხარეს თავისი უმებიგით და ბევრს ჭირსა და ვარამს შეგვამთხვევენ, და არა გვაქვს ღონე ბრძოლისათვის, რადგან უმეფონი ვართ». ბოლოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ-ხმივ დაადგნენ იმ აზრს, იმ გადაწყვეტილებას, რომ წასულიყვნენ ყველანი თავ-თავიანთ ქვეყანაში, აეკანყებინათ მცხოვრებნი, მოეგრიცხათ საჩქაროდ ჯარები და მოესხათ იგინი ახალციხის ასლო. აქედგან შეერთებული ძალით უნდა გაელაშქრათ მონგოლების წინააღმდეგ, გაერეკნათ იგინი საქართველოდგან და ამოერჩიათ ერთი მეფე ყველა იმერთა და ამერთათვის.

3. დატყვევება ქართველებისა.

ეს გადაწყვეტილების შემდეგ ცოტნე დადიანი გაეშურა შორეულს ათსაზეთში, რათა დროზედ შეეგრიბა ჯარი და გადაზედ მიესწრო დანიშნულს ადგილსა. სხვანი ჯერ ერთად იყვნენ და აკანყების წესსა და რიგს აწყობდნენ. მაგრამ მონგოლებს თვალი და ყური ეთხილად ჰქონდათ და ეს ამბავი იმავ თავით შეიტყეს, უთუოდ სულდაბალი ჯაშუშების შემწეობით. მათ სწრათვად ათრიენეს ცხენოსანი ჯარი ახალციხისაკენ. ეს ჯარი მოულოდნელად თავს დაესხა ქართველ მთავრებს სწორედ იმ დროსა, როდესაც ისინი აქედგან აპირობდნენ წასვლა-წამოსვლას თავიანთ ქვეყნებში ასაკანყებლად მცხოვრებლებისა. ქართველებს თან ჯარი არა ჰყავდათ, თითრებს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და დატყვევებულ იქმნენ ყველანი ერთად. ჩვენები მტერმა წაასხა სამხრეთით სომხითში, სადაც ბინა ჰქონდა მონგოლთა მბრძანებელსა ანუ ნოინსა. ნოინი რისხვით და მუქარით დაუსვდა ქართველებსა და მოითხოვა მათგან: გატყდით ახლავე, რომ ჩემ წინააღმდეგ აკანყებას აპირობდით და თავდაბლად ითხოვეთ შეწყალება, თორემ დიდ სატანჯველს მოგაყენებთო. ქართველები არც გატყდნენ და არც შებრალება სთხოვეს. მაშინ ნოინმა უბრძანა თავისს მსლებლებსა: გააკვეთ ეს ქართველები, დაატიტვლეთ ყველანი, თოგებით შეუკარით ყველას მკლავები, წაუსვით ტანზედ თაფლი, დასხით ბუბანაქება მზეზედ და იხრაკებოდნენ, ვიდრე არ გამოტყდებიან და შეწყალებას არ მთხოვენო. ეს ბრძანება იმ წამსვე შასრულეს და ჩვენებს მიაყენეს ნაბრძანები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასჯელი. აუარებელი მწერი დაესვია მათ ტანზედ და სტანჯავდა. მტერს ეგონა, ქართველები მალე შეუშინდებიან წვალებასა, თავისავე პირით აღიარებენ თავისს ბრალსა და ხვეწნას დამიწყებენო; მაგრამ ამაოდ. გავიდა მრავალი დღე და ქართველთა სიმტკიცე იოტის ოდენადაც არ შერყეულა. ვერც მუქარამ და ვერც მომსყიდველმა დაპირებამ მათ ვერ ითქმევინა ისა, რაც უნდოდათ მწვალებლებსა.

4. თავდადება ცოტნესი.

ამასობაში დადგა ის დრო, როდესაც პირობისამებრ უნდა შეეერიღიეკენ საქართველოს მთავარნი თავიანთ ჯარებით ახალციხის ახლო. აქ დანიშნულს ვადაზედ ცოტნე დადიანი გამოცხადდა თავისი გაწყობილი ჯარითა; მაგრამ ნაცვლად თავმოყრილი ქართველი ლაშქრისა მას დახვდა საზარელი ამბავი. უთხრეს მთავრების დატყვევება, მათი წასხმა ანისის ქალაქში და სატანჯელი, რომელიც მათთვის მიეუენებინათ ურჯულოთა. ცოტნე იქმნა მწუხარე უზომოდ და სთქვა: სიკვდილი მერჩივნა ამ დღეს მოსწრებასაო. მან იმ წამსვე მიიღო იმისთანა მალალი და საკვირველი გადაწყვეტილება, რომელიც შეეფერება სამაგალითო მამულიშვილს და ყოველად ღირსეულს ვაჟკაცსა. თავისი ლაშქარი მთლად უკანვე ათხაზეთში დაუბრუნა, თვითონ კი გასწია ანისისაკენ ორი მოსამსახურით იმ განზრახვით, რომ მისულიყო დატყვევებულ ქართველებთანა და ჭირსა და ტანჯვაში მათთან ყოფილიყო. ქართლის ცხოვრება ამბობს: «მან მეგობართათვის დასდო თავი თვისი, თანხმად მაცხოვრის მცნებისა, რომელიც იტყვის: «ამისა უფროს სიყვარული არ არს, რათა დადვას კაცმან სული თვისი მეგობართა თვისთათვის».

ცოტნემ გაიარა სამცხე ანუ ახლანდელი ახალციხის მხარე, შემდეგ ჯავახეთი, ჩავიდა სომხითსა და შეავიდა ანისის ქალაქში. ერთს დიდს მოედანზედ დაინახა ქართველი ტყვეები, რომელნიც გატი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტკლებულნი და მკლავებ შეკრულნი ისხდნენ მზის გულზედ და ისრაკებოდნენ. საშინელმა წუხილმა შეიპყრო გმირული გული ცოტნესი, როცა ამისთანა დამამცირებელს მდგომარეობაში ნახა მთავარნი საქართველოსანი. მაგრამ ამასთან ნუგეშიც იგრძნო, რადგან დაინახა, თუ რა ღირსეული კაუკაცობით იტანდნენ ამ სათაკილო სასჯელს მისნი მეგობარნი, თითქო უველა ფიქრობსო: თუ მაცხოვარი ჯვარს ეცვა ავაზაკებთან ქვეყნის გამოსყიდვისათვის, ჩვენ რატომ არ უნდა ავიტანოთ ეს სასჯელი საშობლო ქვეყნის გულისთვისაო. ცოტნე გადმოხტა ცხენიდგან, მივიდა თავისს მეგობრებ-

თან და მსურვალედ მიესალმა; მერმე ფიცხლავ გაიძრო თავისი ტანისამოსი, გატიტვლდა, თვითონვე შეიკრა თოკებით მკლავები და ჩაჯდა ამ სახით თავის მეგობრებ შორის დაღონებული. რომ ეს ამბავი მოახსენეს ნოინსა, იგი საშინლად გაოცდა, დაიბარა თავისთან ცოტნე და ჰკითხა მიზეზი, თუ რად მოვიდა აქა და რად ჩაჯდა გატიტვლებულ ქართველთა შორის? ცოტნემ მიუგო: «მე მოვედი თქვენს წინაშე, რათა გამოიკითხოთ, და უკეთუ ღირსი რამე სიკეთილისა გვიქნიეს, მეც ამათთან მოვკვდე და უკეთუ უბრალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყვნენ, მეცა უბრალოდ შეკერაცხო და მარიალ ვიქმნა თქვენს წინაშე, რადგანაც უჩემოდ ამათ არაფერი უქნიათ».

ამ სამაგალითო სათნოებამ და იშკიათმა მეგობრულმა ერთგულებამ ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ნოინზედ, რომ მან თქვა: «რადგანაც ქართველნი იმდენად სათნონი და კეთილნი ყოფილან, იმდენად ერთგულნი ერომანეთისა, რომ შორეული ადგილზეთით მოვიდა კაცი ესე დიდებული, რათა დასდვას სული თვისი მოყვასთათვის, და გასწირა სული თვისი სასიკეთოდ, ამიტომ ვერდობი მეც მათ და განმიტეკებია ყველანი. და განუშვეს ყველანი ესე წარჩინებულნი და წავიდნენ თავის-თავისად» (ქართლის ცხოვრება).

ტუეობიდგან დაბრუნებულნი მთავარნი საქართველოისნი შეუდგნენ ქვეყნის გაძლიერებასა, დაამყარეს ამერთა და იმერთა შორის ძმური კავშირი და ერთობა, აღადგინეს ერთ-მეფობა მეფე გიორგი ბრწყინვალის დროსა და განდევნეს თავისი ქვეყნიდგან მონგოლნი. გაძლიერდა და აყვავდა ისევ საქართველო; მაგრამ შემდეგში განცალკევებამ კიდევ იჩინა თავი ქვეყნის საუბედურად, როგორც ეს ჩვენ ვიცით წინანდელი მოთხრობიდგანა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

დამატება

4. გამარჯვებული დედა

1. ბავშვი კალათში.

ეს უძველესი ამბავი მოხდა ეგვიპტეში *) ხუთასის წლის წინად.

ზაფხული მოდიოდა. მზე ახალი ამოსული იყო, მაგრამ ამ დილა ადრიანადაც ისეთი პაპანაქება იდგა, რომ მზის შუქი კვერცხს შესწვავდა.

ეგვიპტეს სატახტო ქალაქის უკეთესი სასახლიდან გამოვიდა ყმაწვილი, გასათხოვარი ქალი, მაღალი სარეს ტანისა, მშვენიერის და კეთილის სახისა და დაეშვა ქვეკითი მდინარე ნილოსისაკენ, რომელიც ქალაქს გვერდით ჩამოუდიოდა. ამ ყმაწვილს ქალს თავზედ გვირგვინი ედგა და თან ახლდა ექვსი მოახლე. ერთი მათგანი მზეს უჩრდილებდა ეგვიპტურის ბზის ვეებერთელა თოთლით, რომელსაც მაშინ ეგვიპტელნი ხმარობდნენ ქოლგის მაგივრად.

ქალი ჩაბძანდა მოახლეებით მდინარის ნაპირსა, სადაც მწვანე მდელო გარეშემოზღუდული იყო დაბურული ხეებით და სადაც ვერავისი თვალი ვერ მისწვდებოდა. აქ გაკეთებული იყო საბანაო, სადაც ეს ყმაწვილი ქალი ყოველ დღე ბანაობდა. ერთმა მოახლემ მდინარის პირს იწყო გაშლა სათეენისა თავისი ქალბატონისათვის. ამ დროს მდინარის ლერწმოვან ნაპირიდან მოისმა რაღაც უცნაური ხმა. ქალებმა სული გაანაბეს და სმენად გადიქცნენ. ჩქარა მეორედაც გაიგონეს ეს ხმა. «უი, ქა, პატარა ბავშვის ხმაა», გულმტკივნეულად წარმოსთქვა ყმაწვილმა ქალბატონმა და თანაც თავისი შორს გამჭრიახი თვალით ლერწმიანისაკენ გაიხედა. იქ შეამჩნია

---

*) საქართველოდგან რომ სამხრეთისაკენ წახვიდე ჯერ სომხითზედ გაივლი, მერე მცირე აზიის ქვეყნებზედ, შემდეგ მიხვალ ურიათა ქვეყანაში, მასუკან დაგხვდებათ წითელი ზღვა, რომლის იქით ძევს ეგვიპტე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალთი, საიდანაც მოისმოდა ბავშვის ტირილი. მაშინვე უბრძანა ერთს მოახლეს შეეტოპნა და გამოეტანა კალთი. მოახლემ ერთს წამს შეასრულა ბრძანება: მივიდა კალთთან, თრთხიალად აიღო, ნაპირს გამოიტანა და დასვა თავის ქალბატონის წინ. ახადეს თავი კალთისა და შიგ ნახეს რაბდენიმე თვის დაბადებული კაცი. ბავშვმა ტირილს უმატა, ხელები ქალბატონისაკენ გაიშვირა, თითქო სთხოვს, ამიყვანეო. «საწყალი ბავშვი ებრაელის სახლობიდან უნდა იყოს», სთქვა ქალმა.

ბავშვს ჭქონდა მდიდარი სახე და მეტად ლამაზი იყო. ქალბატონს გული შეუკარდა ბავშვზედა და სთქვა: «რა კარგი ბავშვია,— ამისთანა ჯერ მე არ მინახავს. მე ეს ბავშვი შვილად ამიყვანიაო». ამ დროს ხეებიდგან გამოვიდა ერთი ღარიბად ჩაცმული გოგონა, წარსდგა ქალბატონის წინ და მოკრძალებით მოახსენა:

— ქალბატონო, თუ გნებავთ ამ ბავშვისთვის მე ახლავ ძიძას მოგგვრით.

— მალიან კარგი, ჩემო კარგო,—უპასუხა ქალბატონმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატარა ქალი გაეშურა და რამდენსამე წამს შემდეგ მოუყვანა ერთი შუა ხნის დედაკაცი, რომელსაც ქალბატონმა ჩაბარა ბავშვი გასაზრდელად და თვასასაც კარგს დაჭვირდა.

ვინ იყვნენ: ეს ბატარა ბავშვი, კალათში ჩაწყვნილი, უმაწვილი ქალბატონი, სხვა ქალები და რა ამბავი იყო ესა?

2. ხალხის ტანჯვა.

ავობის გადასახლების შემდეგ ეგვიპტეში, მისნი ჩამომავალნი საოცარის სისწრაფეით მრავლდებოდნენ. აღთქმა ღვთისა, რომელიც მან მისცა აბრაამსა: «ვამრავლებ შენს ჩამომავალსა, როგორც ქვიშასა ზღვისასა», სრულდებოდა. ღვთის ნების აღსრულებას ორი ბუნებითი მიზეზიც ხელს უწყობდა ებრაელთა. ერს ეჭირა უნაყოფიერესი ნაწილი ეგვიპტისა გესემი და დოვლათს ბევრს იძენდნენ, შეძლებით კარგად იყვნენ. ამასთან ებრაელთ ზნეობა ჰქონდათ ძლიერ წმინდა: როგორც ქალნი, ისე კაცნი მეტად თავდაცულნი იყვნენ. ვიდრე იოსები ცოცხალი იყო, ეგვიპტის მეფეებს ახსოვდათ მისი დიდი სიკეთე, ახსოვდათ, რომ მან დიდი შიმშილობის დროს მთელი ეგვიპტე დაიხსნა ამოყლეტისაგან და ამიტომ ებრაელებს სწყალობდნენ, სათნოებით ეპურობოდნენ. მაგრამ მასუკან, რაც იოსები გარდაიცვალა და ეგვიპტის ტასტზედ ავიდა თვრაონად ანუ მეფედ იმისთანა კაცი, რომელიც სრულიად არ იცნობდა იოსებსა, ებრაელებს დიდი გაჭირვება დაუყენეს.

ეგვიპტელნი შურის თვალით უყურებდნენ ებრაელთა გამრავლებას და თან შიშიც დაეპყრათ. «სულ რომ ასე იმატოს ამ უცხო ერმა, რომელიც სრულიად სხვა ენაზედ ლაპარაკობს და სხვა ღმერთს აღიარებს, ჩვენზედ ძლიერი შეიქნება, შეიძლება ჩვენს გარეშე მტერს მიემხროს და ჩვენი სახელმწიფო დაამხოსო», ფიქრობდნენ ეგვიპტელნი. ამის გამო თვრაონმა გასცა ბრძანება, რომ ებრაელებისათვის აეხინათ სხვა-და-სხვა მძიმე სამუშაო, უფასოდ ეშენებინათ თვალ-უწვდენელი წოწოკინა კოშკები, ანუ პირამიდები, აეგებინებინათ დიდი ქალაქები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგვიპტელებისათვის, ამისთანა აუტანელი ჯაფით გაესშირებინათ სიკვდილი ებრაელთა შორის და მათი რიცხვი შეემცირებინათ. ხოლო ამ ღონისძიებამ არ გასწრა. ებრაელნი გამოდგნენ ძლიერ ამტანნი, გაუძლეს ამ უმძიმესს უღელსაც და უწინდელივით მრავლდებოდნენ. მაშინ ფარაონმა უბრძანა ბებიებსა—ყველა ახალად დაბადებული ებრაელი კაცი მოეკლათ და მხოლოდ ქალები დაენარჩუნებინათ ცოცხალნი. ბებიებს ღვთისა ეშინოდათ და ამ უდიერს ბრძანებას არ დაემორჩილნენ. ბოლოს ფარაონმა გასცა საყოველთაო ბრძანება: ვინც კი ნახოთ ახალად დაბადებული ებრაელი კაცი, უთუოდ წყალში გადაგდეთ, და მხოლოდ გოგოები დანარჩუნეთ ცოცხალნიო. ქალებს არას უშავებდნენ იმ გინზრახვით, რომ, რაკი ებრაელი კაცები აღარ იქნებიან, მათი ქალები მისთხოვდებიან ეგვიპტელებსა, მიიღებენ ქმრების ენასა და სარწმუნოებასა, გაეგვიპტელდებიან, ამ სახით გაქრება ებრაელთა ერი და მათი დედულ-მამულიც ჩვენ დაგვრჩებაო.

3. ბავშვის გადარჩენა სიკვდილისაგან.

ნწორედ ამ დროს ერთს ებრაელს, ლევიტის ჩამომავალსა, მიეცა კაცი შვილი. ახალად დაბადებული არა ჭვავდა უბრალო ბავშვსა, სახე ჭქონდა მდიდარი, ძლიერ ლამაზი და ყველაფერში ეტყობოდა, რომ რჩეული ადამიანი გამოვიდოდა. დედამ სამი თვე მალა თავისს სახლში, მაგრამ რამდენიც ბავშვი იზრდებოდა, იმდენი უფრო ძნელდებოდა მისი დამალვა. დღეს-ხვალ უთუოდ შეიტყობდნენ ეგვიპტელნი, წაართმევდნენ კაცსა, გადაგდებდნენ წყალში და დაარჩობდნენ. უნდა რაიმე ხერხი ეხმარა. დედამ გააკეთა მოზრდილი კალათი, გარეშემო კარგად გაფისა, რომ წყალს შიგ ვერ შეეტანებინა, ჩასვა შიგ თავისი საყვარელი კაცი და დახურა თავსა. ერთს სისხამ დილაზედ აიღო კალათი, ჩუმად მიიტანა მდინარის ნილოსის ნაპირსა და ლერწმებში ჩასდო იმ ადგილას, სადაც საბანაოდ ჩადიოდა ყოველ დილით ფარაონის ქალი. დედას თანა ჭყავდა თავისი ქალი მარიამი, რომელსაც უთხრა: «შენ აქ დარჩი, ხეებში დაიმალე და შორიდან უთვალთვალე. მეფის ქალი ჩამოვა აქ საბანაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამ ბავშვს ტირილზედ იპოვნის; იგი ძლიერ გულგეთილია, შეიბრალებს ამ ჩვენს პატარას და იქნება შვილადაც აიყვანოსო. თუ ძიძა დასჯირდეს, მოირბინე და შემატყობინე, ეგები ღმერთმა მომსედოს, ჩემი შვილი მეკე გავზარდოვო». დედა წამოვიდა და ქალმა მისი დაბარება წმინდად შეასრულა.

ახლა თქვენ კარგად იცით, თუ როგორ მოსდა და რას ნიშნავდა ის ამბავი, რომელიც ჩვენ ავწერეთ მოთხრობის დასაწყისში...

4. ბავშვს ეცილებიან ერთმანეთს დედა და მეფე.

ედას სანატრელი აუსრულდა. ფარაონის ქალმა მისი ვაჟი შვილად აიყვანა და მასვე ჩააბარა ძუძუს საწოვებლად და გამოსაზრდელად. იმავე დროს სასელად ბავშვს ფარაონის ქალმა დაარქვა მოსე, რაც ნიშნავს: «წყლიდან ამოყვანილი».

დედის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მაგრამ უფრო დიდი სიძნელე, უფრო დიდი გასაჭირი და ხიფათი შემდეგში მოელოდა. მოჩიტების შემდეგ ბავშვს გამოატლიდნენ ხელიდან დედასა, წაიყვანდნენ ფარაონის სახლში და იქ აღზრდიდნენ ეგვიპტურად, ასწავლიდნენ ეგვიპტურს ენასა, ამავე ენაზედ მისტემდნენ სწავლასა, დაავიწყებდნენ თავისს დედა-ენასა და თავისავე სარწმუნოებაზედ დაუენებდნენ, ჭეშმარიტს ღმერთს დავიწყებდნენ. შესაძლებელი იყო მოსე მიმხრობოდა თავისი ერის მტრებსა, იმათთან ერთად გასდენილიყო მდევნელი ებრაელებისა და უფრო გაემწარებინა მათი ბედი. რატა ეს აზრები შეიპურობდნენ ხოლმე საბრალო დედას, თავზარი ეცემოდა და ამბობდა: ეს ხომ სიკვდილზედ უარესი იქნებაო; მაშინ ხომ ათასჯერ მერჩივნა ან მუცელში გამწყალებოდა და ან დამრჩვალიყო ნილოსის წყალშიაო.

დედამ სხეულის სიკვდილისაგან გადარჩინა თავისი საყვარელი შვილი, ახლა მას უნდა აეშორებინა მისთვის სულიერი სიკვდილი, ათასჯერ უარესი პირველზედ. ეს ისეთი ძნელი იყო, რომ შეუძლებლობას უდრიდა,—გადაბირება, გაეგვიპტელება მოსესი აუცილებელი იყო. მაგრამ ამ შემთხვევაში დედის მხურვალე სიყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულმა სამშობლოსა და შვილისადმი თითქმის ყოველად შემძლებელი ძალა გამოიჩინა, შეუძლებელი შესაძლოდ გახადა, მოულოდნელი ასაცხადებლად ჰქმნა, აუცილებელი უბედურება ბედნიერებად აქცია. იმ სუთიოდე წლის განმავლობაში, როდესაც პატარა მოსე თავისთანა ჭუკვდა, დედამ ღრმად, ძლიერ ღრმად ჩაუნერგა მას სიყვარული ჭეშმარიტის ღმერთისა, თავისი ერის ენისა, სარწმუნოებისა, ებრაული სიმღერისა, გალობისა, თქმულობისა, ზღაპრებისა, ისტორიისა და ლექსებისა, ერთის სიტყვით, ყოველი ეროვნულის საუნჯისა. ამ ღრმად ჩანერგვას ეროვნობისას ძლიერ დაეხმარა ის გარემოება, რომ მოსე საოცრად ნიჭიერი ბავშვი იყო და ისეთი მომავალი, რომ ორი წლისას იმდენი ესმოდა, რაც სხვა ბავშვს ოთხის წლისასაც გაუძნელდება.

აი, მოსე მოიზარდა, მოვიდნენ ფარაონის სახლიდგან და წაიყვანეს. განაშორეს დედა და შვილი, რომელთაც ერთმანეთი უღრმესი სიყვარულით უყვარდათ. დედა დიდს მწუხარებაში ჩავარდა, მაგრამ მას ანუგეშებდა ის იმედი, რომ ეროვნული თესლი, რომელიც მან ღრმად ჩაფლა თავისი ვაჟის გულში, გადურჩებოდა ყოველს გვარს ავდარსა და აუკვდებოდა, ებრაელთა ერის სასიკეთოდ.

მოსე დაბინავეს მეფე ფარაონის სახლში. აქ ბავშვი ჩავარდა იმისთანა გარემოებაში, რომელიც მთლად, სრულიად და ყოველ მხრივ ეწინააღმდეგებოდა უწინდელ მდგომარეობასა. წინად მას უკელაფერი უქადაგებდა ებრაელთა ერის სიყვარულსა, აქ კი, ამ უცხო ადგილას, ყოველ ნაბიჯზედ, ყოველ წამს ესმოდა ამ ერის სიძულვილი, სურვილი მისი განადგურებისა. რომელი გრძნობა გამეფდებოდა მის გულში: სიყვარული, თუ გულ-გრილობა და სიძულვილი თავისი ერისა?

მოსემ ოცს წელს დაჭყო მეფის სასახლეში, ჭქონდა მეფის შვილის პატივი და ადგილი, მშვენივრად შეისწავლა ეგვიტური ენა, ყოველი მეცნიერება ეგვიპტისა, რომელიც იმ დროს განათლებით პირველი ქვეყანა იყო, შეითვისა მთელი მაშინდელი სიბრძნე და ბოლოს დაკაკვატდა. დადგა დრო, როდესაც მას უნდა აერჩია გზა ცხოვრებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. გამარჯვებული დედა.

მოსეს წინ ედო ორი გზა: თუ ის ზურგს შეაქცევდა თავისს ტანჯულს და დაჩაგრულს ერსა და მიემხრობოდა ძლიერს ეგვიპტელებს, მას მოელოდა სიმდიდრე, განცხრომით ცხოვრება და კეთილდღეობა, მეფური დიდება, ერთის სიტყვით, დიდი ბედნიერება. თუ ეგვიპტელობას უარ-ყოფდა და თავის ერს მიემხრობოდა, თავისს დიდს სწავლას იხმარებდა ებრაელთა ერის დასაცველად, ამ შემთხვევაში მას წილად ხვდებოდა ტანჯვა, წვალება, სიღატაკე, დევნა და იქნება თვითონ სიკვდილიც.

ბირველი გზისაკენ ეწოდა მოსეს მთელი ძლიერი სასულმწიფო, მეორე გზას ულოცავდა მისი დედა. რომელი სძლევდა: ძლიერი სასულმწიფო, თუ სუსტი ქალი?

ერთმა გაიმარჯვა მრავალზედ, სუსტმა სძლია ძლიერი. მოსე მტკიცედ დაადგა დედის მცნებასა, ზურგი შეაქცია ვარდიანს გზასა და ამოირჩია ეკლიანი გზა. იგი სულით და გულით შეიქმნა მოუვარე, მოსარჩლე, მცველი თავის ერისა და უშიშარი მოწინააღმდეგე მჩაგვრელი ეგვიპტელებისა. მთელი თავისი შეუდარებელი ნიჭი, მთელი თავისი დიდი ცოდნა, მთელი თავისი დაუღალავი მსნეობა წამლად დაადო თავისი ერის ხსნასა. ამასთან უბედურება არჩია ეგვიპტელებთან ბედნიერებასა.

დმერთს ძლიერ სძულს სამშობლოს ღალატი, ბვირად ათვსებს თავისი ერის ერთგულებასა, მისთვის თავ-დადებულებას და ამიტომ თავ-განწირული მოსე უხვად დააჯილდოვა: თავის მახლობლად ამოირჩია, მისცა ნიჭი დიდის წინასწარმეტყველისა, შეაძლებინა გამოეხსნა ებრაელნი ეგვიპტიდგან და წაეყვანა ადთქმის ქვეყანაში მიაცემინა თავის ერისათვის ბრძნული სალმრთო სჯული, და იგი, მოსე, გახდა საუკუნოდ სათაყვანებელი ებრაელთ ერისათვის და საყიდებელი მთელის კაცობრიობისათვის...

ეროვნული
ბიბლიოთეკა